№2218 2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N407 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის N407 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა” ,,ბ” ,,გ” და ,,ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების და მათთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვა უზრუნველყოს 2013 წელს, ხოლო ამ განკარგულების პირველი პუნქტის ,,დ” ,,ვ” და ,,ზ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უზრუნველყოს 2013-2014 წლებში.”;

ბ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

,,3. დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტის ,,დ” ,,ვ” და ,,ზ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული 2014 წელს განსახორციელებელი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს 2014 წელს შესაბამისი წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.”.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**